ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №66
2024 წლის 30 დეკემბერი

დაბა ადიგენი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ივნისის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ივნისის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/06/2023წ., 010250050.35.137.016662) კერძოდ: დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**

დანართი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის თანადაფინანსების პროცენტული წილი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსების პროცენტული წილი
1	**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია.** რომელიც გულისხმობს სადარბაზოების შესასვლელებში რკინის, საკეტიანი კარებების მონტაჟს. აუცილებლობის დროს, პანდუსების მოწყობა, სადარბაზოს კარებამდე მისასვლელი კიბეებისა და ამორტიზებული ხის კიბეების კონსტრუქციის სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციისა და ბაქანის რეაბილიტაცია. მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმა და სადარბაზოებში არსებული წყალსაწრეტი მილების	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის დაფინანსებას 100%-ით უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დარჩენილი თანხის ანაზღაურებას უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია.

	რეაბილიტაცია.		
2	**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სრული ან ნაწილობრივ რეაბილიტაცია** რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული ნალესის ჩამოყრას და შეცვლას, დაზიანებული საწვეთურების მოხსნას და ახლით შეცვლას, გარე ფასადის შეღებვის სამუშაოებს.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის დაფინანსებას 100%-ით უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 100%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
3	**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სრული ან ნაწილობრივ რეაბილიტაცია** რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული ნაწილის ახლით შეცვლას, წყალგამტარი და წყალმიმღები სისტემების შეცვლას.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის დაფინანსებას 100%-ით უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 100%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
4	**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადრენაჟე სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია ან ნაწილობრივ რეაბილიტაცია.** საჭიროების შემთხვევაში სარდაფების და ეზოების წყლის სადრენაჟე სისტემების მოწყობას.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის დაფინანსებას 100%-ით უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დარჩენილი თანხის ანაზღაურებას უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია.
5	**მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლების ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია.**	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების შესყიდვის დაფინანსებას 100%-ით უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 100%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.